ქ. თბილისში, მთაწმინდა-ჭრწანისის რაიონში,
ჭრწანისის სამთავრობო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე
(მიწის ნაკვეთის №01.18.06.011.036)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით
სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლის ანგარიში

განმარტებითი ბარათი

"ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 17 ივლისის №28 სხდომის დასკვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთებზე: 01.18.06.011.036 შეეცვალა ფუნქციური ზონის სტატუსი და საცხოვრებელი ზონა 2 შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 5-ად, რითაც ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრა – კ1=0.5, კ2=2.1 და კ3=0.1.

ამის შემდგომ, ქ. თბილისის მერის 10 ოქტომბრის №2195 განკარგულებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე, რომლის მიხედვით განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0.7-ს, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3.5-ით.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L / K2X(K2'-K2)XS

სადაც:

L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 მ^2

K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

S - მიწის ნაკვეთის ფართობი.

აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იქნება:

102ლარი / 2.1X(3.5-2.1+0.42*)X1036.0მ^2=49314.0 ლარი

* - 20%-იანი შეღავათი

შპს "მევახტეკ ჯე"-ს დირექტორი: ვასილ ჯალაღონია

ქ. თბილისში, მთაწმინდა-ჭრწანისის რაიონში,
ჭრწანისის სამთავრობო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე
(მიწის ნაკვეთის №01.18.06.011.036)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით
სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლის გადახდის გრაფიკი

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლი შეადგენს 49314.0 ლარს

XI	ოქტომბერი 2014 წ.	24500 ლარი
XII	ნოემბერი 2014 წ.	24814 ლარი

შპს "მევახტეს ჯე"-ს დირექტორი: ვასილ ჯალაღონია

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2195

10 ოქტომბერი

"____" _____ 2013 წ.

ქ.თბილისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, კრწანისის შესახვევი II, №19-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.18.06.011.091, 01.18.06.011.036), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 3 ოქტომბერის სხდომის №39 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, კრწანისის შესახვევი II, №19-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.18.06.011.091, 01.18.06.011.036)განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,7, კ2=3,5.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი." ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში: GE48LB0125152101628719.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა